№ 238
პარასკევი, 3 ნოემბერი 1895

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

1877–1895

ივერია

№ 238
პარასკევი, 3 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

გამოვა 1896 წელსაც
ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲓ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА.“

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ. ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ. ამით აცხადებს, რომ ქვემოდ აღნიშნულ პირთა უძრავი ქონებანი, თანახმად ბანკის წესდების 14 მუხლისა, დანიშნულია საჯაროდ ვაჭრობით გასასყიდად ამავე ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო. მამულები არ გაიყიდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდასახადს წარმოადგენენ.

მილორავა დუტუ გიორგის ძე: ერთ-სართულიანი სახლი და ერთ-სართულიანი ხის ფლიგელი, მიწა ზომით 180 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქალაქ ფოთში, ევპატორის ქუჩაზედ.

რუსიევი ყორჩიბაშევისა მარიამ ზურაბის ასული: ორ-სართულიანი სახლი და ორ-სართულიანი შენობა, მიწა ზომით 1550 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. თელავში.

ხათრიძე ანდრია (იგივე ბიჭია) თევდორეს ძე. ორ-სართულიანი სახლი, მიწა ზომით 48,36 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ქუთაისში, ნემენცების ქუჩაზედ.

გუგუშვილი ალექსი ივანეს ძე. ერთ-სართულიანი სარდაფით სახლი, ერთ-სართულიანი ფლიგელი და შენობა, მიწ. ზომ. [illegible] ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ბათუმში, „ნურიას“ ნაწილში.

სურგულაძე სილიბისტრო გაბრიელის ძე და ანჯაფარიძე ნესტორ სამსონის ძე. ერთ-სართულიანი სახლი და ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 72 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ბათუმში, „ნურიას“ ნაწილში.

ირზა-ჰაჯი-ბაბა-ოღლი. სამი თითო-ნახევარ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. განჯის 1-ლ ნაწილში.

ადამია გვადა ვახტანგის ძე. ორ-სართულიანი სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 288 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზედ.

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ

ყოველ გვარს **ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ.**

მსურველთ მოჰკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 2 ნოემბერს, არსაიდგან ფოსტა არ მოსულა—არც რუსეთიდგან და არც ბათუმიდგან.

⁂ გორიდგან იტყობინებიან, რომ იქ 200-დე სახლი დაუნგრევია ნიაღვრებს. ქალაქის ერთი ნაწილი მთლად წყალშია დაფარული, სრულიად წანაშა ყაზარმები, საპატიმრო, ქალაქის ბაღი და სხვა ადგილები. ლიახვზედ აღარც ერთი ხიდი არ დარჩა, ყველა წაიღო; თვით მტკვარზედ გადებული, საკმაოდ მაგარი ხიდი, საშიშ მდგომარეობაშია: მტკვარმა ერთი ბურჯი კიდევაც გამოაცალა; ხალხს თითო-თითოდ და უშვებენ. ამ ორის კვირის განმავლობაში განუწყვეტლივმა წვიმამ მრავალი სოფელი დააზიანა გორის მაზრაში. გორის წყლისაგან მოოხრებულ ადგილების დასათვალიერებლად 1-ლ ნოემბერს ტფილისიდგან გუბერნატორი თავადი შარვაშიძე, გუბერნიის ინჟენერი ბუტკევიჩი და ტეხნიკოსი ტრონოვი წავიდნენ.

⁂ კავკასიის რკინის გზის უფროსმა ე. ლ. ვედენევმა დეპეშით სთხოვა გზათა მინისტრს ხუთი ინჟენერი და სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობის ერთ-ერთი დირექტორი იქმნან გამოგზავნილნი ბათუმის რკინის გზის ლიანდაგის გასასინჯად. ამასთანავე ითხოვა, მიეცეს ნება-რთვა ყველა საშუალება იხმაროს, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყონ სიარული სამოგზაურო და საქონლის მატარებლებმა.

⁂ დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბ-ნი ბოჩკაროვი განაგრძობს თვისის მოხსენების კითხვას „ყარსის მომავალ რკინის გზის სავაჭრო, საეკონომიო და სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ“.

⁂ ჩვენ გვეკითხებიან შემდეგი გარემოების შესახებ: ჩვენის დაუვიწყარის პოეტის ნიკ. ბარათაშვილის საფლავზედ აქამდის არ არის ძეგლი და არ ვიცით, აპირებენ თუ არა, ან როდის აპირებენ განზრახულის ასრულებას. თანხა გროვდებოდაო, მაგრამ რამდენია ამ თანხისა, რამდენი აკლია და თუ არ აკლია, რა მიზეზია, რომ არაფერს აკეთებენო?! იმედია პასუხს გავიგონებთ, ვისგანაც ჯერ არს.

⁂ მომავალ 1896 წელს პეტერბურგში ახალი სამხედრო გაზეთი გა-

ფელეტონი

ᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲬᲕᲓᲔᲑᲐ...

(სახსოვრად 1895 წლისა).

ხმა არ მიწვდება, შორია,
სალამმა დაიგვიანა,
თორემ მთა და კლდეც თავს გიხრით
თავის ქუჩ-ბალახიანა.
თქვენ-კი გენაცვლეთ, ვაჟებო,
დაზრდილნო დედის რძითაო,
თავ-გადადებით მებრძოლნო,
ვეფხვებო კლანჭებითაო.
გადმოგვიშლია ყვავილი
თქვენს საფლავ-სამარეზედა;
დაუჭკნობელი დაფნები
თქვენს ჩამოღალულ მხრებზედა
და საუკუნო ცხოვნებაც
ნუმც გაგეცვლებათ სხვებზედა.
სხვა-კი რა გითხრათ მთებისა?
არ გივიწყებენთ ძველებსა;
მალი-მალ აგახსენებენთ,
გულში ჩაიკვრენ ხელებსა.
არაგვიც ხევ-ხუვს აშტერებს,
აქოთებს, აჩოჩქოლებსა.
მთაში ბებერი არწივი
წყრება, აწყდება კლდეებსა,
ერეკლეს ამბავს უყვება—
ცრემლი სდის ბახალეებსა!
ქორ-შავარდენის ლაშქარი,
სანათქმელოი ბწკლითაო *)
და მთის ლეგონი მიმინო **)
შაშვენებულის ფრთითაო
გითვლიანთ: „ბატონს უთხარით,
თუ თავი უნდა ყმისაო,
ნუ გვწირავს, ჩვენაც წაგვასხას
ლიდარი გვილის ცდისაო.
იარეთ, ძმებო, წავიდეთ,
ლაშქარი გავაზიაროთ;
ნუ ვუღალატებთ ერთურთსა,
დუშმანი დავაზიანოთ.
იარეთ, ძმებო, დამბრუნვი
უფალმა შეაჩვენოსა;
ბატონს-კი ნუღარ წავიყვანთ
მაგანაც დაისვენოსა...
ნუ დარდიანობს ბატონი,
ცამ ცოტა მოიდარაო;
წამოვესწრენით, გავიგეთ,
მოვბევრდით თან-და-თანაო;
ხვალამც ქმნა კრწანისის ომი,
ჩვენაც იქ მოგვიყვანაო;
თქვენს დაჯავრებულ, თოფებთან
ჩვენებიც ააჩქამაო;
გალიმებულიმც გვაჩვენა
დაღონებული მამაო,—***)
თუნდ იმ წამს ჩვენი ლეშიცა
შავს მიწას შეაჭამაო.
თქვენი ანდერძი გზადა გვაქვს,
ჯვარი სასოდ და მცველადა
და ჩვენაც გვითქვამს იგივე,
რაც თქვენა მაშინ, ძველადა:
„ვინც უღალატოს, იმათა
აუგით შეუწონლადა,
მიწამ ნუ ტვირთოს, ცამ რისხოს,
დედა შეერთოს ცოლადა“.
მშვიდობა თქვენს სულს, ია და
ვარდი გულს მოსაფენლადა,
და ცრემლი საქართველოსი
ალლად ზედ დასაფრქვევლადა!

ბაჩანა.

1895 წ.

◆

გადაგვარების მოსურნე—
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!..

აკაკი.

შემდეგი*)

V

გშვი-დაა?!.

ამ ამბების შემდეგ განვლო სრულმა ექვსმა წელიწადმა, რომლებმაც მაგრე რიგად დიდი ცვლილება არ მოახდინეს მიხეილ სალარიძის ოჯახში. მხოლოდ ეს იყო, რომ ცოლ-ქმარი, ცოტა არ იყოს დამსხვილდა და მიხაკოს ადრეულმა ჭაღარამ ყურთან კიკინები აუჭრელა. სამაგიეროდ, ელისაბედი, ისედაც ახალგაზდა, თან-და-თან უფრო ყმაწვილდებოდა, დღითი-დღე ყვავილივით იშლებოდა. აქამდის თუ მხოლოდ კოკორი იყო, ეხლა სრულ და მიმზიდველ ვარდად გაიფურჩქნა, ასე რომ იმის „დეკოლტე“ არა ერთსა და ორს (არამც თუ მარტო ჭაბუკს, არამედ თვით მოხუცსაც-კი) გულს აუფანცქალებდა. წინად თუ ლოყები მიმკრთალებული ფერისა და სათუთი ჰქონდა, ახლა ამის წინააღმდეგ, თურაშაულ ვაშლსავით ულაჟღაჟებდა. ამ დაქალებას, თუმცა ჯერ კიდევ მისის სქესის სინაზე არ დაეჩრდილა, მაგრამ მაინც წინანდელი ჰაეროვნება, დილის ცვარის მზგავსი სიკამკამე—ხელ-შეუხებელი არ დაეტოვა; ახლა ყოველი ნაკვთი მისის სახე-სხეულისა, დამწიფებულ ნაყოფსავით, მომრგვალებულ-შემოკვერცხილი იყო, თარაზოში გამოყვანილი, ასე რომ კაცს თავისაკენ მხოლოდ ფიზიკურად-ღა იზიდავდა.

ამ დროს „კოლია“ უკვე ექვსის წლისა გახლდათ. ელისაბედის თქმა არ გამტყუნებულა, „კოლა“ პირწავარდნილი მამა იყო: მიხეილსავით მსხვილ-ძვალა, ზორბა ტანისა (8—9 წლისა გეგონებოდათ) მამასავით შავ-გვრემანი სახე, შავი თვალები და შავივე თმა ჰქონდა. ახლა იგი სწავლული ბიჭი გახლდათ; თუ წყალივით არა, ჩათვლით მაინც წაგიკითხავდათ უცხო ენაზედ ნაბეჭდს სიტყვებს, რომელიც გნებავდათ აგერჩიათ, თუნდა ჰიანჭველის ტოლა ასოებიც რომ ყოფილიყო. არც წერით დაიძრახებოდა, წერაც იცოდა. მართალია, მის მიერ დასმული ზოგიერთი ასოები სხვა-და-სხვა საგნებს (რასაც იგი თვალით ჰხედავდა) უფრო ჰგავდა, ვიდრე ასოებს, მაგრამ რაც კოლას წლოვანებას შეეხებოდა—ესეც ბევრი იყო. ამის გარდა ერთი ორი ხაზის გასმით სახლსაც დაგიდგამდათ და განა უბრალო სახლს?—ბუხრიან სახლს წამოსჭიმავდა; მერე ისეთს ბუხარს გაუკეთებდა, რომლიდამაც ბოლიც-კი ამოდიოდა... მაშ! ერთხელ მარხილის დახატვაც-კი დააპირა, მაგრამ მალე თავი დაანება, რადგანაც მარხილის მაგივრად, რაღაც უნისკარტო და უფრთო ფრინველი გამოუვიდა... დიაღ, სწავლული ბიჭი ბრძანდებოდა ჩვენი ნიკოლოზ-ბატონი!..

მხოლოდ ქართულ ენაზედ-კი მწყრალად გახლდათ!.. არამც თუ წერა-კითხვა, ლაპარაკიც-კი არ იცოდა, ორიოდე სალანძღავ სიტყვების გარდა, რომლებისათვის ქუჩაში მოეკრა ყური და განა მისი ბრალი იყო? არა!.. ბარემ იმისთვისაც კარგი იქნებოდა—ქართულის ჩამოტიტინებაც სცოდნოდა, ურმის დახატვაც, მაგრამ რა ექნა, თუ-კი არ ასწავლეს და არც სურვილი გაუღვიძეს ამ სწავლისადმი.

მართლა და მიხაკოს განზრახვაზედ შესკდა ცოლის სიკერპეს და ათასნაირ ტოტებად განიფანტა, როგორც ზღვის ტალღა სალკლდეზედ. საკმარისი იყო მხოლოდ მცირე სიმაგრის აშენება, ან ქალური სანგლის მომართვა და გამარჯვება კვლავ ელისაბედს დარჩა. მიხაკომ შემდეგის თავისის ქცევით დაამტკიცა, რომ მან უარ-ჰყო აზრი შვილის აღზრდისა და იგი დედას მიანაბრა. ამ უკანასკნელმაც, რასაკვირველია, ეს ადვილი გამარჯვება შვილის სასიკეთოდ გამოიყენა (როგორც თვითონ იყო დარწმუნებული). ისე დაუწყეს მას წვრთნა-ზრდა, როგორათაც თვით ელისაბედი აღეზარდათ, გადასცა ის, რაც მას შეეძინა და ამრიგად ბავშვის გონება-გრძნობაში დვრიტად ისეთი საძირკველი ჩაიყარა, რომელზედაც, მიხაკოსათვის ოდესმე სასურველი, კედელი ვერ აშენდებოდა.

რად მოხდა ეს? რად დაემორჩილა მიხაკო ასე ჩქარა? იმიტომ, რომ ეს ყველაზედ ადვილი მოსახერხებელია... კაცი თითქმის ყოველთვის იმას ეტანება, რაც უფრო ეხერხება, თუ ამასთანავე ეს მას თვალ-საჩინოდ არ არცხვენს. მიხაკო კაცი იყო და ამ კანონს დაემონა—საქმით ცოლის მიყოლა ეადვილებოდა, სიტყვით და ფიქრით-კი წინააღმდეგი იყო; მაგრამ რას იქმს იქ ცალიერი უძლური ოცნება, სადაც კაცი ისეთ გარემოებაში ჩავარდნილი, რომ თვით ხასიათის სიმტკიცეც-კი არ ერყევა და ძალა უძლუნგდება.

სალარიძეც ასეთს მდგომარეობაში იყო. შინაც და გარეთაც ისეთს წრეში ტრიალებდა, რომლიდგანაც

---

*) სანათქმელოი—გათქმული. ბწკალი—კლანჭი.

**) ლეგონი—ცოტად ლეგა, რუხვი.

***) დაღონებული მამა—ერეკლე.

*) იხ. „ივერია“ № 237.

მოვა. გაზეთს სახელად ეწოდება „სიტყვა“.

⁂ შორაპანიდგან წიფაში დეპეშები ფეხით თურმე გადმოაქვთ, როგორც გვატყობინებენ.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგელი ანტრეპრენერი მარიესი. მარიესს განზრახვა თურმე აქვს ახლად აშენებული სახაზინო თეატრი აილოს იჯარით.

⁂ ფინანსთა სამინისტროსათვის შუამდგომლობა წარუდგენიათ, რომ შულავერსა (ბორჩალოს მაზრაში), დაბა ზესტაფონში და დაბა ონში (რაჭის მაზრა) ხაზინა და შემოსავალ-გასავლის კასსები იქმნას დაარსებული.

⁂ ამ მოკლე ხანში კანონმდებლობითის წესით განხილულ იქმნება პროექტი იმის შესახებ, რომ შავის ზღვის პირის გუბერნია იქმნას დაარსებული.

⁂ როგორც „ტიფლ. ლისტ.“-ი იწერება, ადმინისტრაციას განკარგულება მოუხდენია ბაშფორთები არ მოსთხოვონ იმ სომხებს, რომლებიც ამ ბოლო დროს მომხდარ ამბების შემდეგ მოდიან აქეთ ოსმალეთის საზღვრებიდგან.

⁂ სიღნაღის მაზრაში მამულების გამიჯვნის დროს ხაზინამ 300-დე დავა განაცხადა იმ სახნავ მიწებსა და ვენახებზედ, რომლებიც სხვა-და-სხვა პირთ დაუჭერიათ ან უყიდნიათ სახაზინო გლეხებისაგან, რომელთა ნადელსაც შეადგენდნენო, სწერს იგივე გაზეთი.

⁂ ყვარელი: აქ, 22 ოქტომბერს, გარდახდილ იქმნა პარაკლისი თ. რაფიელ ერისთავის სადღეგრძელოდ. იუბილიარის სახელობაზედ ფონდის დასაარსებლად შეიკრიბა 56 მ. და 94 კ., რომელიც წარეგზავნა თელავში დაარსებულს კომიტეტს.

⁂ გორი: ოქტომბრის 31-ს ლიახვმა ჩამოატარა დამრჩვალი კაცის გვამი.

ამავე დღეს ლიახვმა მოიტაცა ვიღაც სოფლის კაცი, რომელიც გაღმიდგან გამოღმა გამოდიოდა; საბრალომ ბევრი იომა, მაგრამ მალე შთანთქეს ზვირთებმა. მიშველება ყოვლად შეუძლებელი იყო.

იმავ დღეს მტკვარმა ჩაატარა აკვანი, რომელშიაც იწვა ვინმე თუ არა, არავინ იცის. გიორგობისთვის პირველიდგან წყალმა იკლო და აღარც წვიმს.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელს №-ში ფელეტონის მესამე გვერდზედ. მეოთხე სვეტში—მეოთხესა და მეხუთე სტრიქონის შუა გამოტოვებულია შემდეგი სიტყვები: „მიხეილი-კი იდგა გამდლის ახლო და ისეთი ღიმილით“.

ხორაგის გაძვირება.

ბევრია იმის მაგალითი, რომ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობით სარგებლობენ პირადის ანგარიშებისათვის უსინიდისო და გაუმაძღარნი ვაჭარჩარჩნი. რუსეთის დიდმა შიმშილობამ მრავლად წარმოადგინა ამის მაგალითები. რა და რა საშუალებას არ ხმარობდნენ მაშინ ხალხის შეუძლებელ მდგომარეობის ექსპლოატაციისათვის. ზოგი შეისყიდიდა მრავლად ერთ ადგილას ხორაგს და ინახავდა იმ დრომდე, სანამ ფასები სხვა-და-სხვა ხორაგეულისა საშინლად არ აიწევდა, მხოლოდ მაშინ დაიწყებდა გაყიდვას; ზოგი პურსა და სიმინდს აურევდა ქერს, სხვა-და-სხვა ბალახს, მტვერს და სხვა ამგვარს; ზოგი მამასისხლის ფასად ზიდავდა ხორაგს ერთ ადგილიდგან მეორეში და სხვა. ბევრგან საქმე იქამდის მივიდა, რომ ადგილობრივი მთავრობა სასტიკ ღონისძიებას ხმარობდა ვაჭრების წინააღმდეგ. მაგალითად, ციმბირის გემების პატრონებმა ათად და ოცად ასწიეს პურის გადაზიდვის ფასები; ჯერ თხოვნით და შემდეგ მუქარით გენერალ-გუბერნატორმა ძლივს დააწევია ნორმალურ ფასამდე.

უკანასკნელ დღეებში უბედურება საქართველოსაც ეწვია. ხანგრძლივის წვიმების გამო ადიდდა წყლები და გაფუჭდა გზები. ბათუმ-ქუთაისისა და ტფილისის შუა რკინის გზით მიმოსვლა დიდის ხნით შესწყდა. აუარებელი ზარალი მოუვიდა ხალხსაც და ხაზინასაც. ჯერ-ჯერობით დაახლოვებითაც არ ვიცით—რამდენამდის ავა ეს ზარალი. ამგვარ გაჭირვებულ დროს ყველა დაწესებულება და კერძო პირიც მოვალეა, რამდენადაც შეუძლია, ხელი შეუწყოს უბედურებაში მყოფ მოძმეთ. თუ ხელის შეწყობა არა, ის მაინც უნდა იყოს, რომ სხვის გაჭირვებით არ სარგებლობდეს არავინ თავისს გამდიდრებისათვის, სხვის უბედურებაზედ არ აშენებდეს თავისს კეთილდღეობას!..

სხვათა შორის, ტფილისელ ვაჭრებსაც განუზრახავთ ამ გზას დაადგნენ. რამდენიმე ნიშანი უკვე არის, რომ მათი მადა გადამეტებულად აპირებს ზრდას. რამდენიმე დღის წინად შაქარი ფუთი 6 მან. და ერთ აბაზათ ღირდა, გუშინ-წინ და გუშინ შვიდ მანეთამდე ასწიეს; დღეს,ხვალ 8 მანეთად უნდა გახადონო. უთუოდ ამგვარივე გაძვირება სხვა ხორაგსაც მოელის. რასაკვირველია, ხორაგის გაძვირებას იმით გაამართლებდა კაცი, რომ ტფილისელ ვაჭართ შემოლეოდეთ დამზადებული, მოტანილი საქონელი. მაშინ შეეძლოთ მათ ეთქვათ, რომ გზების გაფუჭების გამო ახალს სავაჭროს მალე ვერ მიიღებენ და სხვა; მაგრამ საქმეც მაშია, რომ მათ ყოველგვარი სანოვაგე იმდენად აქვთ მოზიდული, რომ დიდს ხანს ეყოფათ, გზა დიდი-დიდი ერთის თვით იქნეს წამხდარი! ცხადია მათ ამგვარი გასამართლებელნი საბუთი არ მოეძევებათ და მხოლოდ იმ მოსაზრებით არიან გატაცებული, რომ ჯიბის გატენისთვის მარჯვე დრო დადგა.

ხორაგის გაძვირება, რასაკვირველია, ქალაქის ღარიბ-ღატაკობას შეეხება. შეძლებულს ნაწილს თუ აქამდის არა აქვს ნაყიდი ბლომად ყოველივე საჭირო სანოვაგე, დღეს დაიმზადებს და მით აიცდენს ექსპლოატაციას თავიდგან; მაგრამ ხელ-მოკლე და შეუძლებელი კაცი, რომელიც იძულებულია ყოველდღე წვრილ-წვრილად შეიძინოს ხოლმე საჭირო სანოვაგე, ხდება ექსპლოატატორთა მსხვერპლად...

ამგვარის ექსპლოატაციის ასალაგმავათ საჭიროა ახლავ მიღებულ იქმნას ღონისძიება. თავდაპირველად ქალაქის გამგეობამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ სამწუხარო გარემოებას და ეცადოს, რომ უთუოდ ალაგმულ იქმნას გაუმაძღარი მადა ტფილისელ ვაჭარ-ჩარჩთა!

ზოგიერთი აზრი სამეურნეო სწავლის შესახებ სოფლებში.

ამ წლის 37 №-ში ჟურ. „ნედელიისა“ დასტამბულია წერილი სოფლის მასწავლებლისა ეკატერინოსლავის გუბერნიიდგან. ავტორი წერილისა ამბობს, რომ პირველ დაწყებით სასწავლებლებში სულ მეტია გალობის, გიმნასტიკის, ხელობისა და ბაღოსნობის სწავლებაო. დაცინვით იხსენიებს ამ საგნების მასწავლებლებს და მათს შრომას უნაყოფო ჩხირკედელაობას ეძახის. ამაზედ ამავე ჟურნალში პასუხს აძლევს მას მასწავლებელივე: „მეო, ამბობს იგი ნებას მივსცემ ჩემს თავს და ვიტყვი, რომ მას სრულიად არა სცოდნია ის საგანი, რომელზედაც ასე თავგამოდებით სწერს. რომ სამასწავლებლო კურსებს სარგებლობა მოაქვთ, ამას ჰმოწმობს ის, რომ გალობის კურსებს შემდეგ ქ. ინსაროვში 1889 წელს ივლისში, მთელს მაზრაში სოფლის 10 მგალობელთა ხორო შესდგა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გალობას მხოლოდ მცირე დრო ეთმობოდა. გალობის მასწავლებლად ამ კურსებზედ მოწვეული იყო ცნობილი გალობის თეორიული მცოდნე ა. ნ. კარასევი. უფრო მომეტებული ნაყოფი მასწავლებლისათვის მოაქვს საბაღოსნო კურსებს. ამ შემთხვევაში ყოველი მასწავლებელი, რომელსაც კი ხელში შეუძლიან თოხი დაიჭიროს, ცოტა რამეს მაინც შეისწავლის, მოახერხებს და თუ მოისურვა მოასწრებს შეასწავლოს მოწაფეებსაც. 1894 წელს ივნისში მე დავესწარ საბაღოსნო კურსებს პენზინის სასწავლებელში. სულ ოც-და-ხუთს დღეს ვმუშაობდით, მაგრამ ამ დროს განმავლობაში ვისწავლეთ დამყვნა, გა-

---

მისი საბრალო სამშობლო ენა განდევნილი იყო. ათასში ერთხელ თუ შეჰხვდებოდა ისეთს ნაცნობს, რომელსაც ჩვეულებად დაეწესებია ქართველთან ქართულად ლაპარაკი, (მერე ამისთანები ჩვენში ბევრნი არიან?) მაგრამ ორიოდე სიტყვა, მამა-პაპურად წარმოთქმული, მხოლოდ მადას უშლიდა და საწყალი სახლისაკენ გამორბოდა, რომ ეს წყურვილი ბექვდითი სიტყვით მაინც მოეკლა, მაგრამ რა? შევიდოდა თუ არა სახლში, ან ისეთი ვინმე დაჰხვდებოდა, რომ თავისი განზრახვა უნდა უარ-ეყო, ან ცოლი ჩამოუგდებდა ლაპარაკს, ან კიდევ სხვა რამ მიზეზი აბრკოლებდა და ამასობაში სურვილის ალი უყუჩდებოდა, უნელდებოდა, როგორც ჭამის მადაზედ მოსულს კაცს ეკარგება ჭამის ხალისი, როცა სადილს დაუგვიანებენ. თუნდა ესეც არ მომხდარიყო—მაინც მიხეილი სურვილს ვერ დაიკმაყოფილებდა; მთელი სახლი რომ გადაებრუნებინა—ერთს ნომერს ვერ იპოვნიდა ქართულის გაზეთისას, აგრეთვე ვერც ერთს წიგნს ვერ მიაგნობდა, თუმცა, ღვთის წინაშე, ყოველს გამოცემას პირ-ნათლად იკვეთავდა. გარნა, რადგანაც მიხეილი ძალიან იშვიათად თუ შეექცეოდა ქართულის ლიტერატურით—ელისაბედისაგან ერთხელვე ნაბრძანები იყო—გაზეთები და წიგნები სარდაფის ერთ-ერთ კუნჭულში ეგროვებინათ.

აი, ასეთი გახლდათ მიხეილ სალარიძის მდგომარეობა და, ამის გამო, არც გასაკვირველია, რომ თითონ მასვე თან-და-თან უძნელდებოდა ქართული ლაპარაკი და თავისს მოძმესთანაც-კი ჰარისსავით ურევდა სამშობლო ენას სხვა ენას. რაკი მიხაკო ცოტ-ცოტათი მიეჩვია იმ სენს და მაგრე რიგად ხშირად აღარ გრძნობდა ტკივილებს, აღარც შვილების (კოლას გარდა—ელისაბედს ქალიც ეყოლა, რომელიც ახლა ოთხის წლისა იყო და, რასაკვირველია, ძმასავით უცხო ენაზედ ტიტინებდა) დაჭირკედილება აწუხებდა.

მხოლოდ ათასში ერთხელ მიხაკოს წარმოუდგებოდა ხოლმე შემდეგი სურათი:

სალამო ხანია; გარედ სუსხიანი ზამთარი ჰმეფობს და გაალმასებულ ყინვას ადამიანს სახე-სხეულში უტარებს; ყველა მობუზულა და კუდამოძუებული სახლისაკენ მიეშურება, რომ მალე მოითბოს და მოილხოს ყინვისაგან გათოშილი სხეული. ოთახში-კი საამოდ თბილა; საჩაიე მაგიდას კარგა მოზრდილი ლამპარი მთლად ანათებს. ეს არის ჩაის სმა გაათავეს. მაგიდას გარს შემოსხდომია მთელი სახლობა—მიხეილი ელისაბედითურთ და „კოლია“-კი თავისის დით ქეთოთი.

მკითხველმა ეს სახელი იქნება, გაიკვირვოს—ელისაბედმა რათ ინებაო, მაგრამ ამასაც თავისი მიზეზი აქვს. აი, როგორ იყო საქმე. მიხეილს უნდოდა ქალი თამარის სახელით მოენათლა, ცოლმა უარი განაცხადა და ბოლოს, როგორც იყო, დასთანხმდა, რომ პატარა ქალბატონს ქეთო ჰრქმეოდა. აქაც ელისაბედმა დიდი მელა-კუდობა იხმარა. ქეთოს სახელის გადაკეთება ძალიან ადვილი იყო—მაგალითად „Катя, Катя, Екатерина“ და სხვა. სწორედ ასეც მოხდა—ელისაბედი ქალს ყოველთვის „Катя“-ს ეძახოდა, ასე რომ მიხეილის განზრახვას აქაც შესაფერი დაბრკოლება დაჰხვდა. მართალია ერთ ხანს ის ქალიშვილს — „ქეთოს“ უძახდა, მაგრამ ბოლოს მაინც დედას წაჰბაძა, რადგანაც ბალღს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვებოდა ეს სახელი და თვალებს გაკვირვებით შეანათებდა ხოლმე მამას. ამ რიგად—პაწია სალარიძისამ—„ქეთევანობას“ ვერ მიაღწია, რაც იმის მამისათვის მეტად სანატრელი იყო.

მიხაკო იმასაც მოურიგდა — რა დარწმუნდა. რომ ცალიერი სახელი არაფერია.

მაგრამ ისევ სალამოს დავუბრუნდეთ. ელისაბედი ქმრის პირ-და-პირ ზის და ხელ-საქმით არის გართული, თუმცა ყური მამა-შვილთა ლაპარაკისათვის მოუმახვილებია. და-ძმანი ერთმანეთის პირ-და-პირ—სხედან და ყურს უგდებენ მამის საუბარს, მიხეილი აღფრთოვანებით (მხოლოდ იმ ზომამდე-კი, რომ ბავშვის ჩვილ-გონიერებაზედ ძლიერი გავლენა არ იქონიოს) უამბობს რომელსამე ეპიზოდს სამშობლო ისტორიისას, რასაკვირველია, მოკლედ, სადათ, როგორც ზღაპარს; უხსნიათებს შესაფერის მაგალითებით რომლისამე გმირის გმირულს საქციელს და სათნო თვისებას. ბავშვები სულ-განაბული მისჩერებიან მამას; ჯერ როგორღაც ვერა გაუგიათ-რა, მაგრამ ცოტ-ცოტათი ეჩვევიან და ბოლოს თუმცა მართალია, სრული და მკაფიოდ გამომსჭვირავი აზრი ვერ გამოიტანეს მამის ზღაპრიდგან, მაგრამ სამაგიეროდ მათ შთამბეჭდავ გონებას ბუნდად რაღაც დაჩნდა.. ცოტა კიდევ და ეს მკრთალი მოხაზულება აზრისა თვით-მოძრაობისაკენ იწვევს ბალღების გონებას. შემდეგ, შეიძლება, მამის ლაპარაკს კითხვაც მოჰყვეს, რასაკვირველია „კოლიასი“, რადგანაც ქეთოს ძილი ეპარება, წამ-და-უწუმ ძმას თავს უქანდურებს, თითქოს ესალმებაო და პაწია, თუმცა-კი წლოვანებასთან შედარებით, დიდრონი თვალები, დარაბებივით ეხურება... აი, ზევითი ქუთუთო ქვეითას უახლოვდება, ეს არის თვალის ღინკილოები ერთმანეთს დაეკონებიან, მთელის დღის განმავლობაში განშორებულნი, მაგრამ მოისმის „კოლიას» ხმა:

— მამი!—რათა ჰქვიან ამა-და-ამ კაცს (უმთავრეს მომქმედს მამის მოთხრობისა)—გმირი, განა ყველა ადამიანი გმირი არ არის?

ქეთო შეინძრევა, ძირს დახრილ თავს ზანტად მაღლა აიღებს, მიბნედილს თვალებს ოდნავ გაახელს, მაგრამ ამავ დროს ლამპარის შუქი შესცინებს, თითქოს ეუბნება: „სიზმარში რა ნახეო!“ და პაწია არსება თავის გაკანტურებით — თვალებსა ჰხუჭავს მერე არც აციებს, არც აცხელებს, ამოიდებას პატარა ბუნჩულა ხელს თავ-ქვეშ და ზედ ვარდისფერს ლოყას დააყრდობს—იქვე მაგიდაზედ ძილს აპირებს. მაგრამ ლამპრის სხივი პირ-და-პირ იმის სახეს ულერსებს, ზედ ეფინება და კატასავით თვალებს ახამხამებინებს; ბოლოს, რომ ვერ მოიშორა ეს მოალერსე ნათელი, ქუთუთოების ციმციმით თავს მეორე მხარეზედ გადაატრიალებს.

დედის გამჭრიახი თვალი-კი ყველა ამას თავ-და-პირველადვე ჰხედავს, მაგრამ მაინც ღიმილით უცდის, რითი გათავდება ეს გმირული ბრძოლა მისი ქალიშვილისა ძილთან. აი, დამარცხდა არა თანასწორის მტრისაგან ჩვენი მებრძოლი ისე, როგორათაც რომელიმე გმირი მამის მიერ მოთხრობილ ამბისა; აქ დედა თვალით რაღაცას ანიშნებს იქვე, კარებთან მდგომიარე ძიძას. ის მიუახლოვდება ქეთოს, ნაზად აიყვანს და გულზედ მიიკრავს თავისს «დამტირებელს“. ქეთო უკანასკნელად კიდევ ცდილობს თვალების გახელას, მაგრამ რა ქნას, როცა ძილის ულმობელს ხელს თვალების ღინკილოები ძალუმად შეუკოწიწებია, სამაგიეროდ რაღაცას ზმუის, ხელ-ფეხს ჰპარჰყავს და ასეთის ყოფით გაჰყავთ დასაძინებლად.

და, როცა ამისთანა სურათი მყუდრო და ტკბილი ცხოვრებისა—მიხეილს წარმოუდგებოდა ხოლმე—იგი მზად იყო ეს ოცნება განეხორციელებინა, მაგრამ მალე აწ არსებული ჩვეულება, ელისაბედის მიერ დაკანონებული, ამ მისწრაფებას წინ ეღობებოდა და საბრალო მამა, ცხოვრების სიცხადისაგან გაწბილებული კვლავ ოცნებაში ეძებდა ხსნას.

ერთხელ, ამგვარის წარმოდგენით აღფრთოვანებული სალარიძე ცოლს ასე გამოელაპარაკა:

— იცი, რა გითხრა, ლიზეტ! აზ-

დაბარვა, ვისწავლეთ როგორ უნდა გაკეთდეს კვლები და მცენარეთა მოსაყვანათ სათბუნებელი ადგილები და სხვა... ამავე წელს რამდენიმე მასწავლებელმა და მათ შორის მეც, მივიღეთ სახელმწიფო ბაღიდგან 150 ძირი ვაშლის ხე და რამდენიმე ძირი ტყის მაყვალი და სხვა ნაყოფიერი ხეების ნერგი. ამავე წელს გავაშენეთ იმისთანა ხეხილი, რომელიც წინად არა გვქონდა ჩვენის სასწავლებლის ბაღებში.

ბაღებში მოწაფეები გულ-მოდგინეთა მუშაობენ და ამისთანა მოკლე დროში როგორც შემოდგომა გაზაფხული და ზაფხულია მოასწრეს არამც-თუ ძირიანი ხეების დარგვის შესწავლა, არამედ ბაღებში აღზარდეს თესლით ორმოც-და-ათ-ათი ვაშლის ხე. იციან მიწის მოვლა, გადაბარვა, მოყვანა ზოგიერთი თესლეულობისა, დაოშვა და სხვა. თავისს დროზედ ისწავლიან დამყნობასაც და ბაღების მოვლასაც. მშობლები სიამოვნებით უყურებენ მომუშავე შვილებს სასწავლებლის ბაღ-ბოსტნებში. სასწავლებელი, რომელშიაც ასწავლიან ხელობას, ბაღოსნობას, გალობას, მთელი დღე გაცოცხლებულია და მოძრაობაშია. ამისთანა სასწავლებლებში კანიკულებშიაც-კი მოდიან მოწაფეები სასწავლებლის ბაღში სამუშაოდ. ამისთანა სასწავლებლებში მოწაფე უფრო ხშირად არის მასწავლებელთან, იგი უფრო მეტად იხსნება გონებით, იძენს მოსაზრებას, დაკვირვებას და მოსალოდნელია, რომ ესენი შეძენილს სწავლას შეიტანენ ცხოვრებაში. ამისთანა სასწავლებელი ცოცხალი და მომქმედი ორგანიზმია ჩვენის ჯერ ისევ ძილში მყოფ სოფლებისთვის. მალე მოსწყინდებათ ის სასწავლებელი, რომელშიაც დღე და ღამე მხოლოდ ხუთი საათი რჩებიან მოწაფეები. ამისთანა სასწავლებელი არ მოსწონთ თვით გლეხებსაც. იგი ცხოვრებას დაშორებულია და მხოლოდ სამწიგნობრო ხასიათი აქვს. მასწავლებელს, რომელიც გალობას ასწავლის და რომლის მოწაფეები ეკკლესიაში გალობენ, გლეხები მადლობას ეუბნებიან. მასწავლებელს, რომელიც ბაღოსნობას ასწავლის, გლეხები პატივსა-სცემენ, ხოლო მასწავლებელს, რომელიც წერა-კითხვას ასწავლის, გლეხები „მუქთა ხორას“ ეძახიან და ამისთანა მასწავლებელს მალეც უცალიერდება სასწავლებელი.

ბევრმა სახალხო მასწავლებელმა გამოსცა გალობისა და ბაღოსნობის შესასწავლებელი სახელმძღვანელო, რისთვისაც მიიღეს მადლობა და მედალი სასოფლო სამეურნეო გამოფენაზედ. ამისთანა მასწავლებლების მეოხებით ბევრგან შევხვდებით დღეს რუსეთში პატარა მეურნეთ, რომელთაც პირველ-დაწყებით სასწავლებლებში გაუთავებიათ. მათ აქვთ თავისი საკუთარი ბაღები, ჰყავთ ფუტკარი და სხვ. მოიგონეთ თუნდ დასავლეთი ევროპა: გერმანია, საფრანგეთი და სხვ სახელმწიფონი, სადაც სოფლები სავსეა ბაღებით და გზები მორიგებულია ნაყოფიერი ხეხილით. ყველა მის გავრცელებაში არანაკლები ადგილი უჭირავთ სოფლის მასწავლებლებს და სოფლის სამეურნეო სასწავლებლებს. უნდა შევნიშნოთ, რომ გალობის, გიმნასტიკის, ბაღოსნობისა და ხელოსნობის შესწავლას მოვალეობად არა სთვლიან მასწავლებლებისათვის და მოწაფეთათვის, არამედ ამ საგნებს უთმობენ იმდენ დროს, რომ სხვა საგნების შესწავლა არ შეაფერხონ.

არც ერთი საქმე არ გაკეთდება რიგიანად თუ ეს საქმე უვიცსა და უგულო კაცსა აქვს ჩაბარებული, მაგრამ საქმე-კი თვით არ იქნება დამნაშავე.

ერობის საქმე.

ყაზანის საერობო საკრებულოში ამ დღეებში ერთი ორიგინალური ამბავი მოხდა. საქმე დაიწყო იმითი, რომ რვა ათასი მანეთი შეეტანათ ხარჯთ-აღრიცხვაში სხვა-და-სხვა სესხთა პროცენტებში მისაცემად დახარჯული. ხმოსანმა იუშკოვმა ეს არის ეხლა აღძრა ლაპარაკი,—საიდგან გაჩნდა ეს ხარჯი? ეს ხარჯი მოგვივიდა იმიტომ, რომ მრავალს ფულის შემომტანს არ შემოაქვს დროზედ ნედოიმკები, წლითი-წლობით მატულობს ნედოიმკების რაოდენობა და ამ ჟამად 200-ათასამდე მანეთია დარჩენილი ნედოიმკათაო. აქედგან სჩანს, რომ ზოგს სრულიად არ შემოაქვს, ხოლო დანარჩენნი მარტო თავისს გარდასახადს-კი არა, სხვაზედ ნედოიმკათ დარჩენილ ფულზედაც იხდიან პროცენტებს, ე. ი. სრული უსამართლობა ჰსუფევსო. ამ შენიშვნამ დიდი ალიაქოთი ასტეხა,—უცბად მთელი კრება ორ დასად გაიყო დაიწყეს ლაპარაკი ერთმა და მეორე მხარეებმაც; გაზეთების სიტყვით, აქ ნათლად სჩანდა, ვინ იყო თავისს დროზედ ფულის შემტანი, ან ვისზედ იყო დარჩენილი ნედოიმკები. აქ იუშკოვმა განაცხადა,—თუ გსურთ თითებზედ ჩამოგითვლით იმათ, ვისაც თავისუფლად შეუძლიან ნედოიმკების შემოტანა და არ შემოაქვთკიო, ამ ვაჟბატონებს ვერაფერი გაამართლებს, რადგანაც მამულების შემოსავალს გარდა ჯამაგირიც საკმაოდ დიდი აქვთ და ფულის გადახდა-კი მაინც არა ჰსურთო. ერთმა ამ ვაჟბატონთაგანმა სცადა თავი ემართლებინა იმითი, რომ დროზედ გარდასახადის შეუტანლობისა გამო ჯარიმა ჰხდებათო, მაგრამ იგი მალე გააჩუმეს: ეს ჯარიმა მხოლოდ ქაღალდებშია ხოლმე აღნიშნული და მათ მაგივრად ისევ სხვები იხდიან ფულსაო. მეორემ ის საბუთი წარმოადგინა, რომ გლეხებზედ მუდამა რჩება ნედოიმკები და ამიტომ მემამულენიც მუდამ დროზედ ვერ ადგენენ გარდასახადსაო, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა სამართლიანად, რადგანაც ცნობილია გლეხთა ნედოიმკები თან და-თან მცირდება, ხოლო მემამულეთა-კი იზრდება. ეჭვი არ არის აქ მიზეზი სხვა რამ უნდა იყოს; მიზეზი-კი ის არის, რომ მემამულეთ არა ჰსურთ ვალის გადახდა და სხვა არაფერი. ერთის სიტყვით, მემამულეებმა თავი ვერაფრით იმართლეს და კრებამ გარდასწყვიტა: წარუდგინონ გუბერნატორს სია ყველა იმათი, ვისაც ნედოიმკები არ შეუტანიათ, რომ საჭირო საშუალებანი იხმაროს და ერობას თავისი ფული დაუბრუნოს. რა შედეგი მოჰყვება ამ გარდაწყვეტილებას, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ყაზანის ერობა გამარჯვებული მაინც დარჩა ამ საქმეში და ვუსურვებთ ყველა ერობას ასე მოქცეულიყოს, სადაც-კი გარდასახადთა შეუტანლობა გავრცელებულიაო, სწერს „ნედელია“.

უცხოეთი

—

იაპონია. ჩინეთ-იაპონიის ომმა, რომელიც ასე ჩინებულად გათავდა აღმომავალ მზის იმპერიისთვის, აღნიშნა მისივე ადგილი სხვა სახელმწიფოთა შორის. იაპონიას ძვირად უჯდება დიდების მოპოვება. ის ჯარის შეიარაღების შესახებ იმავე გზას დაადგა, რომელიც კარგა ხანია აღატაკებს ევროპის სახელმწიფოებს. მართლაც მიკადოს მმართველობა დიდის გულ-მოდგინეობით შეუდგა, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე საომარი ძალ-ღონის გაძლიერებას. იგი განაგებს 6,000,000 კაცს, ომისთვის გამოსადეგს, თუმცა აქნ ბამდის მისი ჯარი მხოლოდ 80.000 კაციდამ შესდგება. იაპონია ცდილობს, თუ ომი ასტყდა, ბრძოლის ველზედ გამოიყვანოს 320,000 კაცზედ მეტი მეომარი.

საქმე იმგვარად ეწყობა, რომ რაც შეიძლება უნდა დაეშუროს იაპონია ამ რიცხვის შესრულებას. ეს თვით იაპონიამაც კარგად იცის და, რომ რაც შეიძლება მეტი ჯარი ჰყავნდეს გაწვრთნილი, ჯარში სამსახურის დრო სამის წლიდგან თვრამეტ თვედ შეამოკლა. ამ გვარად იაპონიას შეუძლიან მოკლე დროში დიდძალი მომხმარე ჯარი შეიძინოს. გერმანიაში დღითი-დღე მატულობს ჯარში ორის წლის ვადით სამსახურის წინააღმდეგთა დასი. სჩანს, რომ ორს წელს შეუძლებელია ჯარის-კაცი რიგიანად მოამზადონ. ამასთანავე როდესაც ჯარის-კაცი ასეთი მოკლე ვადით არის სამსახურში, ყურს არ უგდებს თვისს სამსახურს, უგულოდ ექცევა თვისის თანამდებობის შესწავლას, რადგანაც ფიქრობს, რომ მალე დაბრუნდება სახლში. იაპონელებს კი ჰსურთ, რომ რაც შეიძლება ბევრი ჯარი ჰყავდეთ და რაც შეიძლება ნაკლები დაუჯდეთ მათი გაწვრთნა, მაგრამ ამას კარგი შე-

---

რათა მაქვს—„კოლია“ ჩვენს სათავად-აზნაურო სასწავლებელში მივაბარო; მერე იქიდგან გიმნაზიაში გადავიყვანოთ.

— რაო? გაოცებით შეანათა თვალები ცოლმა და ამასთანავე მისმა სახემ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ჰგონია ეს კაცი მთვარიდგან ხომ არ ჩამოსულაო.—როგორ თუ სათავად-აზნაურო სასწავლებელში? ეს სიტყვები ისე წარმოითქვა, რომ მიხაკოს ერთის მხრით დაჰნანდა—ხათაბალა რაზედ გადავიკიდეო. —განა იქამდის მივაღწიე, რომ ჩემი შვილი იმ „ქართულ სანახიროში“ ალვზარდო?! ამასთანავე ტუჩები ისე აიბზიკა, პროშები ისე შეჰკრა და ისეთის დაცინვის კილოთი შეაზავა ეს სიტყვა, რომ თითქოს მარტო ამ ერთის შედარებით უნდოდა დაემტკიცებინა უვარგისობა ხსენებულ სასწავლებლისა.

— რას ამბობ, ქალო! მაგრე რად ამცირებ საზოგადო დაწესებულებას, რომელიც თითქმის მთელ თავად-აზნაურთა შვილებს ჰზრდის?

— ხა...ხა....ხა...ხა. გაიხარხარა გესლიანად ქალმა. რომელ თავად-აზნაურთა შვილები?! ისინი თავად-აზნაურთა შვილები-კი არა, აფრიკის ველურ ხალხთა შთამოებაა! ერთხელ, ჩემდა საუბედუროდ, იმათ ეზოში ვიყავი, ნაცნობ ოჯახში და იმათმა ველურმა ქცევამ განმაცვიფრა! თვით სახეზედ აწერიათ, რომ ისინი ფენომენები არიან ყოველგვარის სიცუდისა, არავითარი ზრდილობა, მორიდება, მოკრძალება... განუწყვეტლივ გაჰკივიან თავიანთ უხეშ ენაზედ და ერთი ვაიუშველებელი აქვთ... ერთი სიტყვით მთლად დამაყრუეს... მერე ჩემი „კოლია“, ჩემი ანგელოზი, რომელიც თვით განხორციელებული გონება, გრძნობა და ზრდილობაა, იმათში უნდა გაერიოს?! ერთი მათი მიკარება, ხმის გაცემა თავ-ბრუს დაასხავს, გადარევს!.. მიკვირს მე და ჩემმა ღმერთმა—საიდგან მოგდის ხოლმე მაგგვარი უცნაური აზრები, რომელი მხრის ქარს მოაქვს? აღმოსავლეთისას ხომ არა? რა ვიცი საუკეთესო «ვექილად“-კი ითვლები და! და ამ სიტყვებთან ელისაბედმა ქმარს შებრალებით შეხედა.

მიხაკო გაჩუმდა. ან რა უნდა ეთქვა? ამაო არ იქნებოდა ყოველი ცდა თავის დაცვისა? ან მოახერხებდა-კი? საცოდავი ჭარხალივით გაწითლდა, სირცხვილისაგან ოფლში გაიქნა და როგორც იჯდა სავარძელში გადასვენებული—ისევე დარჩა, უსიტყვოდ—ხმა ამოუღებელი.

ცოლმა-კი ცხვირ ზევით გადახედა დაცინვით და ღიღინით მეორე ოთახისაკენ გასწია.

ამის შემდეგ—არ გასულა რამდენიმე თვე, რომ ,,კოლია'' ერთს საუკეთესო ,,პანსიონში'' მიაბარეს გიმნაზიისათვის მოსამზადებლად. ამით ის ერთად-ერთი იმედი მიხეილისა, რომელსაც სათავად-აზნაურო სასწავლებელზედ ამყარებდა, გაჰქრა შარშანდელ თოვლივით. ღვთის წინაშე, უნდა ვთქვათ—მას ძალა აღარ უჭირდა ცოლთან საბრძოლველად; ქმრის ყოველს ასეთს აზრს იგი დაცინვით უმაგრდებოდა და მიხაკოს ამის ატანად კი არ შეეძლო: იქნება ელისაბედს რომ საბუთიანი მოსაზრებანი ეხმარა, გონივრულის მსჯელობით ეპასუხნა ქმრისათვის, მიხეილი შეიძლებდა ღელოს გატანას, მაგრამ საშინელი გაზვიადება ქმრის აზრების ვითომ-და უვიცობისა, მიწასთან გამასწორებელი დაცინვა სალარიძეს ნიადაგს აცლიდა და აძაბუნებდა ხოლმე.

VI

ვისი ბრალია.

შემოდგომის საღამოა. მუშტაიდისა და სხვა ბაღებისაკენ აუარებელი ხალხი მიეშურება, რათა დღისით დაისიცხული არსება—საღამოს სიოთი გაიგრილოს. წელს აგარაკიდგან ხალხი ადრე დაბრუნდა. უცბად წამოგრილებამ გამოიტყუა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისეთი სიცხეები დაიჭირა, რომ კაცს ცეცხლის მზგავსს ალში ატარებდა.

მიხეილ სალარიძეც, თავისის სახლობით, ტფილისში ამავე ხანებში ჩამოვიდა, მით უფრო, რომ პეტერბურგს აპირებდა წასვლას.

ამ დღეს ისე ცხელოდა, რომ მიხეილმა ერთი წამი ვერ მოისვენა. თეთრეულის ამარა დადიოდა ჩამობნელებულ ოთახში, მაგრამ მაინც საშინელი ბული გულს აწვებოდა და სულს უხუთავდა. საღამოზე, როცა მზის გავარვარებული სხივები დაპატარავდნენ, დედამიწას მოშორდნენ, მაღლა აიწიეს, თითქოს ჰაერში დაეკიდნენო და დღიურმა მნათობმა დასავლეთით გადიხარა—მიხეილს, ცოტა არ იყოს, გულს მოეშვა, ცავს წყალში ამოევლო და სასეირნოდ მოემზადა, მართალია, საქმე ჰქონდა, მაგრამ დღისით წამებულს, სიცხისაგან მთლად დაკბენილს—საღამოს გრილი ჰაერის შეხება ენატრებოდა. ამის გამო გარეთ გამოვიდა. მზე უკვე თავისს პატრონს ჩაჰბარებოდა, სამხრის მირთმევას შესდგომოდა და ქვეყნად სიგრილეს დაესადგურებინა; საამური ნიავი კაცის სახეს ტკბილად ულიტინებდა. სალარიძე ქუჩაში გასავალ კარების დირეზე შესდგა, მკერდი გაიგანიერა და ჰაერი ხარბად შთაისუნთქა; ბოლოს მძიმე ნაბიჯით გასწია.

იგი მიდიოდა მხიარული, როგორღაც სუბუქად ჰგრძნობდა თავს, რაკი იმ საშინელს სიცხეს მორჩა. გალაღებულს ბუნებას თავი მოეგიჟიანებინა, მთელი დღის განმავლობაში საკირეში მყოფს, ახლა ფრთა ფართოთ გაეშალა, მშვენიერ ქალსავით ფშვენდა და ამ ფშვენით კაცთა ნათესაობასაც ატკბობდა. დედამიწის ასეთს მყუდროებას ცაც თითქოს ბანს ეუბნებოდა, მთლად გალილავებულიყო და ღამის მნათობს გულის ფანცქალით მოელოდა, რომ მას თვისის ფოსფორულის სხივთა გზნებით ისიც განეკრთო, გაექათქათებინა. მხოლოდ ცის თაღის ერთი კუთხე—დასავლეთისაკენ, ახლად გაჭედილის სპილენძის ქვაბის მზგავსად აფერადებულიყო, მეორე მხარე კი ბამბის ქულასავით თეთრ ღრუბლებს საოცნებოდ დაეჩითათ; მაგრამ ეს ღრუბლები ერთს ალაგას არ იყვნენ გაჩერებულნი, რამდენსამე გუნდათ დაყოფილიყვნენ, შუა ადგილი—მოედანსავით ცალიერი დაეგდოთ, რის გამოც ქვეიდგან რომ შეგეხედნათ—გეგონებოდათ ადამიანებს თეთრი ჩადრები წამოუხურავთ და ბურთაობენო. იმ პაწია ნაჭრებს ღრუბლისას, რომელნიც ერთად შეჯგუფულიყვნენ—გაშლით გარს ეხვია დიდრონ-დიდრონი ღრუბელი, პატარებზე უფრო სპეტაკნი, უფრო მედიდურნი; ისინი ძალიან გვანდნენ მოხუცებულ კაცებს, რომელნიც, ასე გონია, გამოსულან, რათა ახალ-გაზდათა სიმამაცე-სილაღით დასტკბნენო.

აი, ერთ-ერთ ჯგუფიდგან—ერთმა პაწია ღრუბელმა გამოიკუნტრუშა, მოედნის შუა გულს გაჩერდა, ერთ ხანს იტრიალა, თითქოს მეორე გუნდიდგან ვიღაცას იწვევსო. მართლა მოწინააღმდეგე დასმაც აღარ დაიგვიანა, მალე იმათგანაც გამოხტა კოხტა ბიჭურად ერთ-ერთი და დაუახლოვდა ამაყად მცურავ მტერს. ბოლოს იმდენად მივიდა,—რომ ერთმანეთს გადაემკლავნენ და სხვა მხარეს გაისრიალეს, შეუერთდნენ დანარჩენ მოძმეთ და საითკენღაც გასწიეს, დანარჩენებიც მათ აედევნენ; ბოლოს ყველანი შეკოწიწდნენ, ასე რომ უშველებელ გემად გარდაიქცნენ, რომელმაც ცის უსაზღვრო მორევში მედიდურად იწყო ცურვა ხან აქეთ და ხან იქით.

ასეთი იყო ამ ჟამად ცა და, როგორც სჩანდა, თანაუგრძნობდა დედამიწის ლიტანიობას. დიაღ, ლიტანიობას, რადგანაც ირგვლივ რომ თვალი მოგევლოთ, ვერც ერთ დაღვრემილ სახეს ვერ შეჰნიშნავდით. ხომ არის ისეთი ქუჩები, სადა ტანჯვა-ვაება თავს არ გამოჰყოფს, თუნ-

დეგი არ მოსდევს და ერთხელაც იქმნება ბრძოლის ველზედ რიცხვმა ანგარიში გაუწიოს ღირსებას. უკეთესი იქნებოდა, რომ ჯარის-კაცს სახლში ითხოვდნენ მის ღირსებისადა-გვარად. ვინც მოკლე დროში რიგიანად შეისწავლის სამსახურს, ის მალე გაუშვან სახლში—ვინც მალე ვერ შეითვისებს, ის გვიან; მაშინ თვით ჯარის-კაცნი ეცდებოდნენ მალე და კარგად შეესწავლათ სამსახური, რადგანაც ამაზედ იქნებოდა დამოკიდებული მათი სახლში გაშვება.

—

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.-საყურადღებოა შეტაკება იტალიასა და პორტუგალიას შორის პაპის საქმისა გამო. პორტუგალიის მეფემ, დონ-კარლოსმა, როგორც ცნობილია, პაპის სურვილს დაუთმო იმისა გამო, რომ ლისსაბონიდგან პაპის ნუნცი უნდა გაეწვიათ და უარი სთქვა რომში თვისი ბიძა მეფე ჰუმბერტო ენახა. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ლისსაბონში მყოფმა იტალიის რწმუნებულმა თავისი სინანული გამოსთქვა იმის შესახებ „თუ რა მდგომარეობაში იმყოფება პორტუგალია ‰ მეგობრულად უსურვა, რომ პორტუგალია უფრო დამოუკიდებელს პოლიტიკას ადგეს“. დღეიდგან ლისაბონში მყოფი იტალიის მისსია მიმდინარე საქმეების წარმოებით დაკმაყოფილდება. განხეთქილება დიპლომატიური თუმცა სრული არ არის, მაინც მას ვერავინ უარ-ჰყოფს. იტალიის ჟურნალ-გაზეთობა იმდენად დონ-კარლოსს არ ამტყუვნებს, რამდენადაც პაპს ლეონ XIII. კრისპის ორგანო ,,რეფორმა‘‘ პაპის სასახლეს შეთქმულთა „ბუდეს“ უწოდებს. პაპს, როგორც მისს მოადგილესაც, ურჩევენ ავინიონში გადავიდეს. იტალია,—ამბობს „ტრიბუნა“,—ამაზედ მეტად ვეღარ გაუწევს მასპინძლობას ასეთს პრეტენდენტს და დაიცავს მისს უფლებებს და დიპლომატიურს კორპუსს, რომელიც ქვეყნის მთავრობას არაფრად აგდებს, უჩვენებს, სადაა მისი საცხოვრებელი ადგილიო. თავისის მუდმივის შენიშვნებით, რომ რომში ორს გვირგვინოსანს არა აქვს ადგილიო, თვითონ პაპმა მისცა ევროპას ხელში საგანი, რომელსაც იტალია არ მიჰმართავდაო. ყველა ამიდგან სჩანს, რომ პაპს თავისუფლად შეუძლიან სადაც ჰსურს, იქ წავიდესო“. მაგრამ საეჭვოა საფრანგეთის რესპუბლიკამ მიიღოს იგი, თუნდაც პაპმა მართლა მოისურვოს იქ ცხოვრება.

◆

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ.

ოთხშაბათს, 1 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა: 1, „ქეთევან შალიკაშვილი“ დრამა ერთ-მოქმედებად, ფრანგულიდგან გადმოღებული პ. ყიფიანის მიერ და 2, „სევილიელი დალაქი“ კომედია ოთხ-მოქმედებად ნათარგმნი დ. ყიფიანისა. შინაარსი «ქეთევან შალიკაშვილისა» მოკლედ შემდეგია: შემოსეულნი თათრები ეძებენ დასატყვევებლად შალიკაშვილს (მესხიშვილი) — ქართველის ჯარის სარდალს. შალიკაშვილი იმალება სახლში და როდესაც თათრები უცხადებენ, რომ მათ ნაბრძანები აქვთ უფროსისაგან—გადასწვან სახლი შალიკაშვილისა, რომ ამგვარად ეს უკანასკნელი არ იმალებოდეს—შალიკაშვილის მიერ შვილივით აღზრდილი და საყვარელი ახალგაზდა დიასამიძე (კ. მესხი) შემოვარდება სცენაზედ და თათრებს უცხადებს, რომ იგია შალიკაშვილი. ამ დროს შემოდის ქეთევან, შალიკაშვილის მეუღლე (ავალოვისა) და უნდა დიასამიძე, მისი სატრფო, როგორმე ასეთის თავ-განწირულებიდგან დაიხსნას, მაგრამ დიასამიძე იმ აზრისაა, რომ იგი მხოლოდ ამით შეინანებს ცოდვას და გამოისყიდის თავისს დანაშაულს წინაშე შალიკაშვილისა. ამ ლაპარაკს ყურს მოჰკრავს თვით შალიკაშვილი, შემოვა და ის უცხადებს თათრების ასის თავს, რომ შალიკაშვილი ის არის... თათრებმა არ იციან, რომელია მართლა შალიკაშვილი და სასტიკის დასჯის დამუქრებით ჭეშმარიტების გამომჟღავნების ვადას აძლევენ ორივეს... აქ შალიკაშვილი და დიასამიძე მარტონი რჩებიან და შალიკაშვილი მოძღვრად ხდება, უსმენს აღსარებას მის წინაშე შემცოდე დიასამიძეს, ტყობილობს ქეთევანის შემოსვლისათანავე ამ უკანასკნელის დიასამიძესთან დამოკიდებულებას, სწყევლის ორივეს და შემდეგში-კი ისევ ურიგდება მათ და ამბობს, რომ ეს მათი ბრალი-კი არ არის, არამედ თვით მისი ბრალაა. (???!!)

ბოლოს შალიკაშვილი და დიასამიძე შემოსეულს მტერს ხელ-და-ხელ ჩაერევიან, პირველი მათგანი დაიჭრება ბრძოლაში ტყვიით, შემოდის სცენაზედ და კვდება...

პიესა ძლიერ სუსტია, ვერავითარი შთაბეჭდილება მაყურებელზედ ვერ მოახდინა და არც დრამის დასაწყისის, განვითარების და დამთავრების მომენტები აქვს აღნიშნული! მსახიობის სულიერს ძალ-ღონეს ფრთებს აკვეცავს და ვერ ახერხებინებს რაიმე სულის აღშფოთება, ანუ სინანული, სიმკაცრე, ანუ მიტევება და სიყვარული მაყურებელთ წინაშე დაასურათოს. ჩვენ არც ის გვესმის, რად ჰქვიან პიესას «ქეთევან შალიკაშვილი», როდესაც ქეთევანს, თითქმის უკანასკნელი ადგილი უჭირია პიესაში?? ან რას ნიშნავს სიტყვები თვით შალიკაშვილისა, მიმართული ქეთევანისა და დიასამიძის მიმართ: „არა ამაში დანაშაული თქვენ-კი არა, მე ვარო“? პიესიდგან სრულიად არ სჩანს, რანაირად არის შალიკაშვილი დამნაშავე მათს უკანონო კავშირში? ანუ რას ნიშნავს ის, რომ სულთ-მობრძავი შალიკაშვილი უკანასკნელს ამოოხვრასთან გაიძახის: «ვკვდები»! და ქეთევანი-კი არწმუნებს მას და თავის-თავსაც: „არა, შენ არ მოკვდებიო“?! რატომ? ნუ-უკვე შალიკაშვილი უკვდავი არსება იყო?.. ერთი სიტყვით, რომ მაგალითების ჩამოთვლამ არ გაგვიტაცოს ძალიან შორს, ვიტყვით, რომ ამ პიესის ორიგინალი არ ვიცით რა აზრით არის დაწერილი და რა შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე მსმენელზედ და გადმოღებული „ქეთევან შალიკაშვილი“-კი ძალიან სუსტი და უვარგისი დრამა არის.

სამაგიეროდ „სევილიელმა დალაქმა“ მხიარულება გამოიწვია. დიდი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზე ქ-ნის საფაროვ-აბაშიძისა, კ. მესხისა და გედევანიშვილის თამაშმა, მეტადრე ამ უკანასკნელმა დიდი სიამოვნება აგრძნობინა მაყურებელთ თავისის საუცხოვო თამაშობითა და მიმიკით...

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ სამი წარმოდგენა: „ცხოვრების მეჯლისზე“, «ოტელლო» და ზემო აღნიშნულნი პიესანი ძალიან სასიამოვნოდ და ხელოვნებით აღასრულა უმრავლესობისაგან უარ-ყოფილმა ჩვენმა დასმა, მაგრამ სამწუხაროდ სამივე მშვენიერს წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო... ჩვენი საყვედური და გულის ტკივილი იმ საზოგადოების ნაწილს ეკუთვნის, რომელიც ლოჟებსა და პირველს წყობებს ეტანება და არა იმ მდაბიო და საშუალო ხალხს, რომელიც, სხვა რომ არა იყოს-რა, დასაცველად მამულიშვილურ გრძნობისა და თავ-მოყვარეობისა უკანასკნელს გროშსა სწირავს ქართულს თეატრს!..

თეატრის მოყვარული.

◆

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

—

ბერლინის გაზ. „ნაციონალ ცეიტუნგ“-ის სიტყვით, პორტუგალიის დედოფალს ამალიას კარგა ხანია მედიცინის შესწავლა დაუწყია. დედოფალი მეფის კარლოსის ავადმყოფობამ თურმე აიძულა მედიცინის შესწავლისათვის მიეყო ხელი. ამ რამდენისამე წლის წინად პორტუგალიის მეფეს კარლოსს უზომოდ მოერია სისუქნე და მიუხედავად იმისა, რომ მეფე ზომიერად სჭამდა, მუდამ მუშაობდა და ზომიერადაც ძინა ხოლმე, ავადმყოფობა მაინც თან-და-თან უძლიერდებოდა და საშიშარი ხდებოდა. ექიმებმა ვერა უშველეს-რა და თვითონ მეფესაც უძნელდებოდა ექიმთა რჩევის ასრულება. მაშინ დედოფალმა, რომელსაც ქმარი ძალიან უყვარს, თვითონ შეისწავლა მედიცინა, გეზამენი დაიჭირა და დაუწყო ქმარს ექიმობა. ახლა მეფე უკვე ლაფერს ასრულებს, რასაც-კი დედოფალი ურჩევს და, როგორც ამბობენ, უკეთობაც თურმე ეტყობა მისს ჯან-მრთელობას.

და კიდეც არსებობდეს იგი!

ეტლი ეტლს უსწრებდა, კაცი კაცს და რაც ხანი გადიოდა—ქუჩაზედ მოძრაობა მატულობდა. აქა-იქ ლამპრები ციმციმებდნენ და რადგანაც ჯერ კიდევ სრულიად არ დაბნელებულიყო, მათი უცნაური, უნდომო კრთობა კაცის თვალს ეხამუშებოდა, მერე გაუწმენდავ შუშაში, ასე გგონია პირ-დაუბანელი ქალიაო.

მიხაკომ მიისეირ-მოისეირნა და ახლა სრულიად კმაყოფილი, დამშვიდებული, სხეულ-დაამებული სახლისაკენ მოდიოდა.

ამ დროს ქუჩაში გაისრიალა ერთმა ახალმა ეტლმა, რომელშიაც მარტო ქალი იჯდა.

საკვირველია კაცის ტვინის საქმე! ხან-და-ხან რა უბრალო მიზეზია საჭირო, რომ კაცმა სრულიად მივიწყებული საგანი, შესაძლებელია, ოდესღაც სანატრელი, სასურველი, ერთს წამში წარმოიდგინოს და გაიხსენოს. მიხეილსაც ასე მოუვიდა ამ ეტლში მჯდარ ქალბატონის დანახვაზედ. სალარიძეს თვალ-ნათლივ წარმოუდგა, ასე გგონია ამ ჟამად თავისის თვალით ჰხედავსო, ის სურათი, როცა ეს ქალბატონი სახლში დაბრუნდება.

ილ. ელეფთერიძე.

(შემდეგი იქნება).

◆

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 ნოემბერი.

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ. ერთმა ვინმემ, რომელმაც არ ისურვა თვისის გვარის გამომჟღავნება, ასი-ათასი ფრანკი შესწირა, რათა კარმოში შუშის ქარხანა დააარსონ თითონ მუშებმა.

ᲕᲔᲜᲐ. ლუგერი ხელმეორედ იქმნა არჩეული ბურგომისტრად, რის გამო ქალაქის საბჭო დაითხოვა მთავრობამ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ. იუწყებიან, რომ მამურეტ-აზიის ვილაიეტში და სივასის ვილაიეტის მრავალ სოფლებში ხელახლავ მომხდარა შეტაზება.

◆

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სარაჯიან შჩერბანინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ზროცასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროცასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—24).

დაიბეჭდა და იყიდება [illegible]
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-
დოების მაღაზიაში
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
მეფე გიორგისა
—
აღწერილი
პლატონ იოსელიანის მიერ.
გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.
ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა ‰ ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
იყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

ახალი გამოცემანი:
ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელაების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.
ᲤᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.
ᲐᲦᲐ-ᲛᲐᲰᲛᲐᲓ-ᲮᲐᲜᲘᲡ
შემოსევა ქ. ტფილისში.
Თ. ᲐᲚ. ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡ ᲫᲘᲡ Ჯ.-ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ.
ფასი 25 კაპ.
იყიდება ამხანაგობის სკიოსკში.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ თარგმანი კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანისა.
,,ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ‘‘
ანუ
კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი განათლება.
თხზულება იულ. ლიპპერტისა.
ეს თარგმანი გამოვა სამ წიგნად და ეღირება თითო მანეთად. თუ ამ თავითვე წიგნების შემძენნი ისურვებენ ხელის მოწერას და ამ თავითვე საფასურს გარდაიხდიან—იმათ დაეთმობათ სამივე წიგნი ორ მანეთად. ხელის მოწერა მიიღება: ქ. ტფილისში ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში‘‘. ქუთაისში—ვასილ ბეჟანეიშვილთან; ბათუმში—გერონტი კალანდაძესთან; თელავში—ილია იმერლიშვილთან და გორში—არსენ კალანდაძესთან.
(8—უ—7)

გამოვიდა ‰ ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში
ᲛᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ
მოთხრობა ყმაწვილებისათვის, კრისტეფორე შმიდტისა, თარგ. სალომე შუბათელისა.
ფასი 15 კ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 2-го Ноября 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.